ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 117

“29” მარტი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ. ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ. 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8, მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-12 - მე-13 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, გურამიშვილის გამზირი №15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით ა(ა)იპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ 204889282) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 27 მარტის №24.513.570 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გურამიშვილის გამზირი №15-ში, მე-6 სართულზე არსებული 2449.77 კვ.მ ფართიდან (საკადასტრო კოდი: №01.12.09.021.005.01.502) 600.9 კვ.მ ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, მთავრობის განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობებით, 30 (ოცდაათი) წლის ვადით, ააიპ - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის (ს/ნ 204889282) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე